სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 1 23 0000457302

26/04/2023

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებიდან აკადემიურ საბჭოში წარმომადგენლების არჩევნების დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების” მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის და მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ“ დებულების (შემდგომში -არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულება) მე-9 მუხლის და სტუ-ს აკადემიური საბჭოს მდივნის, ბატონი იაშა კუტუბიძის 2023 წლის 25 აპრილის №452416 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2023 წლის 29 მაისს დაინიშნოს არჩევნები სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებიდან (გარდა ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულისა) აკადემიური საბჭოს წევრის შემდეგ ვაკანტურ ადგილებზე:
- ვლადიმერ ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტი - 1 ვაკანტური ადგილი;
- ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემეტიკის ინსტიტუტი - 1 ვაკანტური ადგილი;

- არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტი - 1 ვაკანტური ადგილი;
- კვების მრეწველობის ინსტიტუტი - 1 ვაკანტური ადგილი;
- მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტი - 1 ვაკანტური ადგილი;
- ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტი - 1 ვაკანტური ადგილი;
- ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი - 1 ვაკანტური ადგილი;
- ინსტიტუტი "ტალღა" - 1 ვაკანტური ადგილი;
- საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი - 1 ვაკანტური ადგილი;
- ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტი - 1 ვაკანტური ადგილი;
- ბიოტექნოლოგიის ცენტრი - 1 ვაკანტური ადგილი;
- კვანტური ფიზიკისა და საინჟინრო ტექნოლოგიების ინსტიტუტი - 1 ვაკანტური ადგილი;

2. აკადემიური საბჭოს წევრის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს პირს, რომელსაც სტუ-ს შესაბამის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში უკავია მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა. აკადემიური საბჭოს წევრს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულიდან ირჩევს შესაბამისი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის ყველა წევრი.

3. აკადემიური საბჭოს წევრი აირჩევა ოთხი წლის ვადით.

4. კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2023 წლის 15 მაისიდან და დასრულდეს 2023 წლის 22 მაისს.

5. კანდიდატებმა განცხადება უნდა შეიტანონ შესაბამისი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის საარჩევნო კომისიაში. განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პ/მოწმობის, პასპორტის) ასლი;

ბ) ცნობა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შესაბამის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში დაკავებული სამეცნიერო თანამდებობის შესახებ.

6. უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭოებმა 2023 წლის 15 მაისამდე უზრუნველყონ საარჩევნო კომისიების შექმნა და არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

7. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა კარლო კოპალიანმა უმოკლეს ვადებში უზრუნველყოს საარჩევნო სიების წარდგენა დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის საარჩევნო კომისიებისათვის და არჩევნების ორგანიზებისა და ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

8. არჩევნები ჩატარდეს უნივერსიტეტის შესაბამის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებში, არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულების შესაბამისად.

9. არჩევნების შედეგები გამოქვეყნდეს არჩევნების დამთავრების შემდეგ თვალსაჩინო ადგილზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

10. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის შესაბამის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების შენობებში თვალსაჩინო ადგილებზე და უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

11. წინამდებარე ბრძანება ძალაში შევიდეს 2023 წლის 08 მაისიდან.

12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64).

რექტორი
გურგენიძე დავით